

572  
1983/2

ISSN 0132-5965  
0132-5965/8300020000



79

1983 0132-5965/8300020000



# ჩვენი შუბი ჭ ფარი


ჩვენი დროშა — წითელი  
ფერის აბრეშუშია,  
გერბი ჩვენი ფარია,  
დროშის ტარი — შუბია,  
გერბს ასხია მტევანი  
და თავთავი სამკალი,  
თეთრად ბრწყინავს  
მწვერვალი,  
წითლად ბრწყინავს  
ცარგვალი,  
ჩაჭდობია ერთმანეთს  
ჩაქუჩი და ნამგალი...  
ჩვენი დროშა წითელი,  
ცას რომ შეღალბია,  
მუშების და გლეხების  
სისხლით შენაღებია.  
გერბზედაც და დროშაზეც  
ის ვარსკვლავი ანთია,  
წინ რომ მიუძღვებოდა  
საქართველოს განთიადს.

პომპაძე წამბომიძე



# ჩემი სამუთებო მხარეთ

59421



თუშეთი,  
ჩვენი  
თუშეთი

ბუაჩა შანჭიკიძე

მატყარი მიხილ ნონიკაშვილი

დალოცვილი მხარეა საქართველო. მდიდარი, მრავალფეროვანი...

ზღვა... ზომიერად ცხელი ზონა, სადაც ხარობს ჩაი, ნარინჯი, თამბაქო... მაღალმთიანი იალაღები... მარად დათოვლილი მკაცრი და ზვიადი მთები და მწვერვალები... ბალ-ვენახები... უდაბნოც კია ჩვენს ერთი ხელის დადება საქართველოში...

თუშეთი მისი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. ხელუხლებელი ფიჭვნარით, ცაცხვის, არყის, ვერხვის კორომებით, ნაირგვარი ხავსის ხალიჩებით, მთის მშვენიერი ყვავილებით არის დაფარული მთათუშეთის ფერდობები და ხეობები.

არავინ იცის, როდის მიეცა დასაბამი თუშეთში სიცოცხლის დამკვიდრებას. ეს კი ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე მკვიდრად ედგათ ფეხი ამ მიწაზე თუშებს, მშვიდობიანობის დროს ცხვარს და საქონელს მწყემსავდნენ, გუდის ყველს ამზადებდნენ, ხალიჩებს და ხორჯინებს, ფეხსამოს ჩითებს და წინდებს ქსოვდნენ, თუშურ ქუდეებს და ჩოხებს აკვირისტებდნენ; მტრის შემოსევისას კი ვიწრო კლდე-კარებში ეგებებოდნენ მომხდურებს...

თუშეთი პირობითად ორ ნაწილად იყოფა — მთათუშეთი და თუშეთის ბარი — ალვანი კახეთის ტერიტორიაზე. ლეგენდის

მიხედვით ალვანი ბახტრიონის გამირს ზეზვა გაფრინდაულს შემოუმტკიცებია თუშეთისათვის. ბახტრიონის ციხესთან სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ მეფეს უკითხავს თუში ვაჟკაცისათვის, გამირობის ჯილდოდ რასა მითხოვო. ზეზვა გაფრინდაულს უთქვამს, ბახტრიონიდან სანამდისაც ჩემი ცხენი ჭვენებას შეძლებს, ის ადგილები თუშების სამოსახლოდ მიზოძეო. ცხენს ტახტიგორამდე მიუღწევია და სწორედ აქ, ალვანის პირას გაუშენებიათ ზემო და ქვემო ალვანი. მთათუშეთში გადასვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით შეიძლებოდა. ბილიკები პატარა, უნაგირის მაგვარ უღელტეხილზე გადადიოდა ისეთ სიმაღლეზე, სადაც ერთთავად ცივა და ქარი ზუზუნებს... ამ ბილიკებით მთაში ვერ აღწევდა დიდი ცხოვრება, რომელიც ბარში დულდა, და თუშებმაც გული აიცრუეს საგაზრდილოზე, ნელ-ნელა აიყარნენ და ბარად გადასახლდნენ.

ნასოფლარი და ნასახლარი გამრავლდა მთათუშეთის მიწაზე. ჩადუმდნენ სიძი ქვით ნაშენი მრავალსართულიანი და ჩარდახ-სათოფურებით გამართული ძველბურთი ციხე-კომპეები და ციხე-სახლები.

აი, მთის წვერზე გადმომდგარი შედოს ციხე. გადმოცემით ის სახალხო გამირს

პ. შარდენი სპ. ნ. სსკ  
სახლი მუშაობს  
აღიარებულია

ზურაბს ეკუთვნოდა. ერთხელ, მრავალრიცხოვანი მტრის შემოსევისას, ზურაბმა იგრძნო, რომ ვეღარ გაუმკლავდებოდა მათ და იმის შიშით, ჩემი ცოლ-შვილი ტყვედ არ წაასხანო, ამოხოცა ისინი, შემდეგ კი ხმალამოღებული გაუხტა მტერს და უთანასწორო ბრძოლაში გამირულად დაიღუპა.

...თუშეთის სიმდიდრე ოდითგან ცხვარი და საქონელი იყო. პირუტყვის გასადევარი და სახნავ-სათესი მიწები მუდამ მკაცრად იყო ერთმანეთისგან გამიჯნული და გულდაგულ მოვლილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც თუშები აიყარნენ და მთა დაცარიელდა, უპატრონოდ მიტოვებულ მიწებზე ღვარცოფებმა გააკვირეს გზა... ჩამორიყვბა, გაფუჭდა სახნავ-სათესი და საბალახო...

...ორი რამ იყო უპირველესად საჭირო, რომ მთათუშეთში ცხოვრება აღორძინებულიყო: გზა და ელექტრონი.

და აი, თუშეთის ბედი წაღმა შემოტრიალდა: საქართველოს პარტიისა და მთავრობის ზრუნვით აქ გაიყვანეს ოცდაათკილომეტრიანი სამანქანო გზა და დაანესეს საჰაერო მიმოსვლა. მალე თუშეთში სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზები აიგება. შეუფერხებლად მომარაგდება მალაზიები. და-

ინყო ზრუნვა აქაური ტყეებისა და საძოვარების დასაცავად. აშენდა ელექტროსახები და თუშეთის სასოფლო საბჭოს ცენტრში — ომალოში უკვე აინთო ელექტროდენი; მთათუშეთის მამაპაპურ სიპით ნაკვებ სახლებში აციმციმდა ცისფერი ეკრანი... მალე სოფლებს შორისაც გაიყვანენ გზებს. აღორძინდება თუშური ხელსაქმე...

და თუშებმაც პირი იბრუნენ ნასახლარებისაკენ.

ხელახლა იბადება თუშეთი... ახალ გზას ახალი სიცოცხლე, ბავშვთა ჟრიაპული და მომავლის ნათელი სხივი მოყვება. ომალოს სკოლა-ინტერნატიში, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინ გაიხსნა, თავიდან 127 ბავშვი სწავლობდა, მერე, როცა გაუკაცრიელდა თუშეთი, ათი ბავშვიც აღარ დარჩა სკოლაში. ახლა კი კლასები ისევ სავსეა. ისევ მშობლიურ ბუდე, მშობლიურ ფუძე-საძირკველს მიაშურებს თუშებმა და, მოდით, დიდმა და პატარამ ერთად დავლოცოთ ეს განახლება— ვინძლო წარსულს ჩაბარდეს ყველაფერი ავად მოსაგონარი დიდი ხნის თუ ახლო წარსულიდან, ვინძლო იმრავლოს ძველთაგან ლოცვა-ვედრებაში მოსახსენიებულმა ცხვარძროხამ, იმატოს სვავმა და ბარქამ, იმძღავროს იმედიანობამ, ხალისმა, სიკეთემ...





## თუშეთი ხალხურ ფემოქმედაზუი

ასე 200-250 წლის წინათ თუშეთში ისე ხშირი იყო ლეკების შემოსევები, რომ ხალხი ლექსად ამბობდა:

— „თუშნო, ნუ დაჰლევეთ ღვინოსა, ნუ დაენდობით ძილსაო, უდროოდ გამოგადვიძებს ტყრიალი ცხენებისაო“.

ლეკი მოდიოდა და მოდიოდა „როგორც ნაგუბარ წყალია“. რამდენ „არწივს მასტეხეს მკლავია“, ვინ იცის! ერთი ასეთი გმირი იყო „მგელაის ჯარჯო“. ომში ის ხმლის ქნევაში იყო საუკეთესო, მშვიდობიანობისას კი თურმე ბადალი არ ჰყავდა ნაბადზე გაფრენაში (მთაში ნაბადს სიგრძეზე ჰფენდნენ და ერთმანეთს ზედ გადახტომაში ეჯიბრებოდნენ. ვინც ორ ან მეტ ნაბადზე გადახტებოდა ფეხის დაუკრავად, ის „კარგ ბიჭად“ ითვლებოდა). ჯარჯო უთანასწორო

ბრძოლაში დაიღუპა — ჰყავდა და ჰყავდა მტერი, „მკვდარი შაყარა მკვდარზედა“, მაგრამ იმათ ახალ-ახალი ჯარი ეშველებოდა და ჯარჯო ფიქრობდა, ნუთუ ჩემი ხმალი არა სჭრისო, „ტიალ თუ მიდის ქვაზედაო“...

...შეთე-ვაჟეცზე ამბობდნენ ხალხში, „სამჯურა ჰქონდა აზარი ათავებულიო“. აზარი კი აი, რას ნიშნავდა: ვინც ას მსხვილ ნადირს მოკლავდა, მერე ერთი ხანი თოფი მინაში უნდა დაეფლო. ესე იგი შეთეს სამჯურ ასი და კიდევ მეტი მომხდური ჰყავდა მოკლული.

ზოგჯერ თუშის ქალებიც მოახტებოდნენ ცხენს და ირენივით გაფრინდებოდნენ მტერთან შესაბამელად, უფრო ხშირად კი ან ცოცხლებს აქეზებდნენ მომხდურის წინააღმდეგ, ან მკვდარს ტიროდნენ მოთქმითი ტირილით: „დალაი“.



ცხვარზე — თავის უპირველეს სიმდიდრეზეც თხზავდა ხალხი ლექსებს, ნატრობდა, ნეტავ „მაჰქიჩაობდე ვაც-ვერძო“, ესე იგი მოთამაშობდე, მოხტოდეო; ნეტავი „გორს იქით ბატკნის ბღავილი გორს აქათ გადმა-ჰდიოდეო“; ნეტავი „ინველებოდე, შიშაგო, ყველ-ხაჭოვ, ამაჰდიოდეო“. ცხვარი და მშობელი კუთხე სიხარულს აძლევდა თუშებს:

„მეცხვარემ ცხვარი შეშალა, შამოეფინა ჩრდილსაო,  
შიგ ურევია ბატკანი, ყივილი მოდის ცხვრისაო,  
ნინ თვითონ გამაუძღვება, ხმა მოსდევს სიმღერისაო.

— გაჰხედე მწვანე მინდორსა ბალახით შემკობილსაო,  
რა მშვენიერი რამა ხარ, დილაო ჩვენი მხრისაო,  
ამწვანებულო ველებო, იალაღებო მთისაო.“  
თუშებს ისიც სიხარულით ავსებდათ, თავიანთ მთებში ჯიხვებს რომ დანახავდნენ. „რქა რქაზე გადაუდღიათო“, იტყოდნენ სიყვარულით. მხიარული და იმედიანი გული ჰქონდათ თუშებს. განსაცდელს არ ეპუებოდნენ: „არც არა მარგო ტირილმა, არც არა ცრემლის დენამა, აჯობა ისევ სიცილმა, ლაქარდიანმა ენამა“...  
ხალისი, სიცილი, ბარაქა ნუ მოშლოდეს თუშეთს, ჩვენს თუშეთს.



ადინო კაპრალიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

# თუმის ბიჭი ღაზარე

ნაზო ანდრონიასვილი

მატიკარი პლემასნდრაი პაპაბაძე

დედით ობოლი იყო თუმის ბიჭი ღაზარე, მამაც, ხოშორს წასული, უკან აღარ დაბრუნებულა. აღვანში ამბავი ჩამოიტანეს: ლეკები დახვდნენ და მოკლესო.

დაიტირეს თუმის ქალებმა ღაზარეს მამა. მართოდ დარჩენილი ღაზარე კი სოფელმა მწყემსებს გააყოლა მთაში.

ღაზარემ ცხვარში სახლიდან ძაღლის პატარა ლეკვი — ლომა წაიყვანა. გაიზარდა ლომა, ნამდვილი ფარის ძაღლი დადგა — ანჩხლი, გულადი და სამართლიანი. ფარასთან სამტროდ არავის მიუშეებდა, ბევრი მგელი მოგუდა და სიცოცხლეს გამოსასლმა. ერთხელ დათვისაც შეეჭიდა და დამარცხებულ ბურღღუნ-ბურღღუნით გააქცია.


ბევრი საქმე ჰქონდათ მწყემსებს. ოთხნი იყვნენ: მოხუცი სარქალი — ბერო პაპა, მახარე, გიორგი და ახალგაზრდა, მხიარული კობე, რომელმაც ღაზარეს ქართული ანბანი და სალამურზე დაკვრა ასწავლა.

ერთხელ მწყემსებს საქმელი შემოაკლდათ. ბერო პაპამ ღაზარეს დაავალა: „შვილო, შენს გახარებას, ერთი სოფელში ჩაირბინე, სოფლის ამბავიც გაიგე და ჯერიც ამოგვიტანეო“.

ღაზარე ცხენს შემოახტა, ლომა გაიყოლა და თავქვე დაეშვა.

იმ ღამეს მწყემსებს ზედ ბინასთან მგლების ყმულილი მოესმათ. აქოთქოდნენ ძაღლები, ფარებს ყეფით შემოუარეს, მწყემსებიც წამოხტნენ, ძაღლებს გასამხნიველად შეუძახეს, თოფებიც დაცალეს. გაანჩხლებულ ძაღლებს მეტი არ უნდოდათ, გაეკიდნენ ნადირს და ბინიდან შორს გააძევეს. შორიდანლა ისმოდა ძაღლებისა და მგლების ჩხუბი და გაგუდული ყმული-წყავნკავი.

კარგა დრო გავიდა, ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ ძაღლები ბინაზე არ დაბრუნებულან.



— რალაც კარგი ამბავი ვერ არის, —  
თავს აქნევდა ბერო პაპა.

— შორს თუ გაყვენენ მგლის კვალსა, —  
ნუგეშობდნენ დანარჩენები. გათენებისას გი-  
ორგი და მახარე წავიდნენ ძაღლების მოსა-  
ძებნად. კობემ ცხენები ჩაიყვანა წყალზე.  
პაპა ბეროძაც ცხენების გამორეკვა დაიწყო  
ბინიდან, თან ეჭვიანად მიდართს ათვალე-  
რებდა. მალე შეამჩნია მათი ბინისაკენ ქურ-  
ღულად მომავალი შეიარაღებული ლეკების  
რაზმი. მგლები კი არა, თურმე ისინი ყმუ-  
ოდნენ ლამით მგლებივით, ძაღლები გაი-  
ტყუეს, ბინას მოაცილეს და დახოცეს. ეხლა  
მოლიოდნენ, იმედი ჰქონდათ უძაღლებოდ  
დარჩენილ მწყემსებს ადვილად მოერეოდ-  
ნენ და გაძარცვავდნენ.

როგორც კი ლეკები სათოფედ მოუახ-  
ლოვდნენ ბინას, პაპა ბერომ ისროლა მონი-  
ნავე ლეკს, მაგრამ მეორედ ვედარ მოასწრო  
თოფის ვატენა. მოუხდნენ ლეკები, ხელ-ფე-  
ხი შეუკრეს და მიწაზე დაადგეს.

თოდის ხმაზე შიშდოთებული დაბრუნდა  
გიორგი. მას მახარე მოჰყვა. კობეც გამოჩნ-  
და. — ცხენები წყალზე მიეტოვებინა და  
ლოდებზე ხტომით ამობოდა ჩასაფრებ-  
ულმა ლეკებმა თითო-თითოდ ადვილად შე-  
იპყრეს ისინი, დასატაცებული დაიტაცეს,  
ცხვარი აყარეს და ხელებგაყრულ მწყემსებ-  
თან ერთად დაღესტნის მთებისკენ გაუყე-  
ნეს.



ის ლამე ლაზარენ სოფელში გაათია. მეო-  
რე დღეს კი, სანამ ყველას ოჯახს ჩამოუყ-  
ლიდა, დანაბარებს გადასცემდა, ისინიღ  
ტყბილი სიტყვით და ხლით გაუმასპინდ-  
ლებოდნენ, გასატანს გაატანდნენ, დასაბა-  
რებელს დააბარებდნენ, შეუგვიანდა. მზე  
შუადღეზე იყო წამოსული, ბინას რომ მიუ-  
ახლოვდა.

გაუკვირდა ლაზარეს: არც ცხვრის ბლა-  
ვილი ისმოდა, არც ძაღლების ყუფა და არც  
მეცხვარეების გადაძახილი ან სალამურის  
ტყბილი რაკრაკი.

მივიდა და ბინა გაძარცვული დახვდა,  
ცეცხლი—ჩამქრალი, მთა — დამუნჯებული.  
აქეთ გასაძახა მწყემსებს, იქით გასაძახა, ძაღ-  
ლებსაც დაეხმარა, მაგრამ ამაოდ, არსაი-  
დან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ კობეს  
მიერ წყალზე მიტოვებული ცხენები ამოსუ-  
ლიყვნენ და ბინის ახლოს ბალახსა ძოვდნენ.  
ცხადი იყო: ლეკები დასხმოდნენ ბინას და  
კაციან-ცხვრიანად გაერეკათ ყველა. დროს  
დაკარგვა არ შეიძლებოდა, რამე უნდა ელო-  
ნა ლაზარეს, მოახტა ცხენს, წინ დანარჩენი  
ცხენები გაირეკა; ღომი წინ გარბოდა, ყნო-  
სით იკვლევდა გზას.





დაღამდა, როდესაც უკანასკნელ მთაზე ავიდნენ. ამ მთის იქით ლეკების სოფლები იწყებოდა. თუ ლეკებმა ცხვარი და ტყვეები სოფლებს შეაფარეს, მერე გვიანდა იქნებოდა.

გადაადგა ლაზარე მთის წვერს, ჩაიხედა ქვევით და გაიხარა: მთის ფერდობზე პატარა ტაფობი იყო. ლეკებს, ეტყობა, თავი სამშვიდობოს დაეგულენინათ და დასასვენებლად ამ ტაფობზე დაბანაკებულიყვნენ, ციცხლი დაენთოთ. ზოგი ცეცხლს შემოჯდომოდა, ზოგი კი ცხვარს და ხელბეშუკურულ მწყემსებს დარაჯობდა.

ლაზარემ ცხენები ახლო ხეზე მიაბა, კლდეზე გადაადგა და ხმამაღლა ლეკურად დაიძაბა:

— არიქაა... თავს უშველით, ერეკლე მეფე მოდის...

მერე ხეს ხმელი ტოტი ჩამოამტვრია, აუშვა ხიდან ცხენები და დაუწყო ცემა. ურტყამდა ამ გამხმარ ტოტს ფეხებში, თავპირში და თან დაჰკიოდა. დაუმსახურებელი ცემისაგან გაგიჟებულმა ცხენებმა თავი აიწყვიტეს, ჭიხვინითა და თქარათქურით დევსენენ თავვე.

მტორი დაიბნა. ლაზარეს გაფრთხილება სინამდვილედ მიიღეს, თანაც ღამეში რამდენიმე ცხენის ფეხისხმა, ჩლიქებით ჩაქცეული და დაგორებული ქვების ხმაური, მთის ექოსთან ერთად, ერეკლეს ლაშქრად მოეჩვენათ და შეშინებულები კურდღლებით მიმოიმალნენ ბუჩქებში.

მარტო რაზმის მეთაური არ დაძრულა ადგილიდან. იმიტომ კი არა, რომ ლაზარეს გაფრთხილებაში ეჭვი შეეპარა. არა, ამდენი

დვლის დამობა არ უნდოდა და უბრძოლველად არავის დაანებებდა. ის იყო, თორთი გამძობილ მხრიდან, რომ ლაზარემაც ჩამოირბინა ფერდობი, ხმელი ხის ტოტი გამოაცურა ლოდებიდან, ლეკს თოფივით დაუმინზა და დასწყვილდა:

— არ გაიხმრე, თორემ გავათავებ!

მტორი შეერგა.

— მიდი, ჩემო ლომო, ახლა შენ იციო, — მიუბრუნდა ლაზარე ლომას და თითი მტრისკენ გაიშვირა.

გადახტა ლომმა, მკერდზე შეახტა ლეკს, კბილებით მხარზე ჩაეჭიდა და განძრევის საშუალება არ მისცა. ლაზარემ კი ჯონჯ გადააგდო, ლეკების მეთაურს თოფი გამოსტაცა, მწყემსებს ხელები გაუხსნა. ხელფეხგახსნილი მწყემსები გაქცეული ლეკების დაყრილი თოფებით შეიარაღდნენ და ლაზარეს გვერდში ამოუდგნენ.

მაღო ლეკები გონს მოვიდნენ, შერცხვათ თავიანთი სიმხდალისა და ნელ-ნელა დაბრუნდნენ მეთაურთან, მაგრამ აქ უკვე დახვდათ ხუთი შეიარაღებული თუმი, რომლებიც ცხვარსაც აღარავის გაატანდნენ.

მცირე შეტაკების შემდეგ იძლინენ ლეკები. ცოცხლებიდან ზოგმა მოასწრო გაქცევა, ტყვედ ჩავარდნილებს კი თუშებმა ხელები გაუკურეს და თან წაიყვანეს.

ეს რომ ერეკლე მეფემ შეიტყო, ბევრი იცინა, შეუფო ლაზარეს გულადობა და მოხერხებულობა და უთხრა:

— შენისთანა ბიჭს ხის თოფი კი არა, ნამდვილი თოფი ეკუთვნისო, მამაშვილურად გადაკოცნა და ნამდვილი თოფი აწუქა.






# ქიკაძის „გაიხიმა“



ანუ როგორ ამოიყვანა კიკიძე ლაშენის გვირგვინი

სადანარის კვბოში-მუხთავ ჩახვავა. მხატვარი- შიკა ლაშენი.





# რუსული სხარგულა ნათარგმნი

## ქართულად

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რა ღვეზელს აცხოვს ჩვენი ყვინილა,  
ფურნეში თავი გამოიჩინა...

კატა სარკმელთან უზის საკერავს...

ბოკი ცერცველას ნუყავს ღვერა!

ცხენი, რა ცხენი!

მარჯვენ-მარცხენით ტორის კვრაშია,

ცხენი კი არა, ზღაპრის რაშია.

ჭუჭული დაგვა-დაწმენდაშია,

ქუსლებიანი შვენის მაშია.



სამკედლოდან უცბად  
გამოვიდა კუჭმა,  
ლონეზე კუჭმა,  
უკვე ისაუჭმა.  
კუჭში არ ზის უქმად,  
ურთ მოაქვს ორ-ორი,  
ურთ დასცხო ლურსმანს.  
კაკ-კუკი, დაკა-დუკი,  
ხმაურია როგორი!  
გამოკვერა ლურსმანი  
მთელი ერთი გოდორი!



ზაბუ ზღარბო,  
ჩვენო კარგო,  
ნაბის ნუ გაუყვებო,  
წაგისდება აღისფერი წულეები.  
თოვლი დადნა,  
ტყუპია და ტყუპია,  
მზრალზე გავლა ჯობია.



მოდის ბაჭრიდან მანია,

ნავაჭრი მოუტანია:

მშობელ დედისთვის შავ-შავი

გულვარდიანი თავშალი.

— მოგეწონება ძალიან,

აბა, დედოღო, გაშალე!

ახლა და-ძმისთვის მანიას

ვნახოთ, რა მოუტანია!

ძმებს დაურიგა შევარდნებს

ჩექმები გადასარევი,

მერე გედევით დაიებს—

ქათქათა ხელთათმანები.

ყველას საკუთრივ მიართვა

კოპწია გასახარები.



მთარგმნელი

ვახვალა მრავლიშვილი

მხატვარი

იუ რ ზ ვ ა ს ნ ა ე ც რ ვ ი

ა ლ მ ქ ს ა ნ დ რ მ ტ ა გ ა ბ ა ძ მ


## სიჩქარე

ბებოსთვის სოფლად წერილი  
გაუგზავნია გიბს,  
და ის წერილი, ნუ იტყვიოთ,  
თვითონვე მიუღია.  
გაკვირვებულა ბიჭუნა,  
გაბრაზებულა კიდევ,  
ასე მუშაობს ფოსტაო!—  
თურმე შესირიდა დიდებს.  
მერე კი კონვერტისათვის  
ზედ დაუხედავს... ჰოდა,  
მაშინ მიმხვდარა ყველაფერს,  
გაწიოდებულა ცოტა.  
თურმე იჩქარა ბიჭუნამ  
(ახლა კი ნანობს, მჯერა,  
და კონვერტს მისამართები  
უკუღმა დააწერა.  
სიჩქარე განა ცუდია,  
მაგრამ გეტყოდით აქვე,  
კაპიკად არ ღირს სიჩქარე,  
როცა ფუქცება საქმე.

თ ე ნ ვ ი ზ მ ო რ კ ი ა უ ლ ი

## გ ა მ თ ა რ ი

ხამოდის თოვლის ფანტელი,  
თეთრად ქათქათებს მიდამო,  
თითქოს ჩაქუფრულ ბუნებას  
აღარ სურს. გაძვიდაროს.  
ამ თვალუწვდენელ ველ-მინდვრებს  
გუშინ ხომ მწვანე ფარაგდა,  
ეს ამოდენა ქვეყანა  
რა უცებ გაჭაღალავდა!  
მზე დამალულა ღრუბლებში,  
თოვს ირგვლივ—მთა და ბარდა,  
თოვლო, ითოვე, ითოვე,  
ბანუშების უასახარდა!



### ი ა ლ მ თ ა მ ა

— გოგოებო... გოგოებო...—მრგვად, თეთრ ბაჭის თათები კიდევ უფრო მრგვად ღოჭებზე შემოეწყო და ბაღახებში მოკოტრიაღე „გოგოებს“ ეძახდა:

— მოდით, მოდით, რა განახლო! მზე ჭაში ჩავარდნილა! იხრჩობა...

აბა თუ ჭაში ჩავარდნილა და სულ ცხვირპირისმტრევეთ მოცვივდნენ ბაჭიები, გარს შემოაშოქრიდნენ ჭას და ცახცახაბა დრუნჩებთ შიგ ჩაყვეს. მაგრამ ყურებმა დრუნჩებს გზაში გაუსწრეს და გრძად ჩაკვიდნენ ღრმა ჭაში.

— ყური გასწო! მეც დამანახვეთ!—გარს უვლიდა მკორღრე შემორიგებულ ბაჭიებს დავგვიანებული ცქნაფურა. არც ერთი არ ინძრვოდა. ან რას გაინძრეოდნენ, როცა მზე ჭაში ჩავარდნილიყო.

— დამანახვეთ, მეც მიხდა...—ახლა უკვე გამწვანებული დარბოდა ცქნაფო. ხან ერთს მოჰქაჩავდა კუდზე, ხან მეორეს.

როგორც იყო მოსციდნენ ჭას.

— უნდა ვუშველოთ, უნდა ამოვიყვანოთ, ცლავა.—წამოაყენეს წინადადება ნანახით შეძრულია პატარებმა.

— კი, მაგრამ როგორ?

— სათლი ჩავუშვათ, სათლი. ჩაჯდება და ამოვიყვანთ.—გამოანათა ვილაცის ბრწყინვალე აზრმა.

— მართალია, სწორია. მოიტანეთ, მოიტანო.—დაეთანხმნენ ყველანი.

გაიქნენ, მოიტანეს.

თოკი დავიწყნოდათ.

— არა უშავს, კუდებზე მოვეკიდებით ერთმანეთს და ჩავადთ.—ისევ იხსნა ვილაცის ტვინმა შეშლათებულინი.

პირველი ცქნაფურა ჩაუშვეს. კუდზე ცუცა მოეკიდა, მერე ყოჩიანი, და ასე ჩაკვიდნენ იმსიგრძე ჭაში.

— ვაიმე, ბიჭებო, ხელი არ გაგეშვათ, ვინც-ღო მეც არ დამახრჩოთ, ბიჭებო!—კოდა გამწვანებული ცქნაფო.

— მიდი, მიდი, ნუ გეშინია! იმას მაინც ვიტყვით, მზესთან ერთად დაიხრჩო! გმირულად შესწირა თავი მზესს!—ამხნევედნენ სხვები.

— რა დროს ეგაა, ზადხო. განა ერთი მსხვერპლი არ გყოფნით?! მერე ხომ მეც თქვენი ამოსატანი ვიქნები! ცუცა, ღმერთი არ გაგჩერებს, ცუცა!—იტკებოდა ცქნაფო.

როგორც იყო ჩააღწიეს ძირამდე. ცქნაფომ სათლი წყალში ჩაყო, მზე შიგ მოაქცია და ამოწიეთო, ესლა დაიკვნესა. კვნესა-კრუსუნით ამოიყვანეს გაღურებული ბაჭია. თვადები გაწმაცვინაზე ჰქონდა. ხშირ-ხშირად იბედა პატარა თათით კუდს.

— რომ მომძრობოდა, ჰა?—ვილაცას თუ თავისთვის ეკითხებოდა ცრუნლიანი.

ახლებს უხაროდათ, რომ მზე გაათავისუფლდეს.

ცას მოჭულტული თვალებით აპყურებდნენ და კისკისებდნენ. ცქნაფო კიდევ ერთხელ მივიდა ქასთან. უნდოდა შეემოწმებინა, მაინც სად უპირებდნენ სიკვდილს ფათურაკის შემთხვევაში. ცხვირი და კული ერთნაირად უცახცახებდა, შიგ რომ ჩაიხედო.

ჩაიხედა და გაშეშდა.  
მზე ისევ შიგ იყო! მისი ყვითელი დისკო მაცულურად დაბლაპებდა წყალში.

— ესე იგი მტლიანად არ ამოგვიყვანია. კიდევ დარჩენილა. — გაუღვდა უცებ, — ახლა ეს რომ სხვებმა ნახონ, ისევე მე ჩამაგზავნიან და რალა მე შევლებ! განა კიდევ მიწვევის სტაფილოს ღმერთი!

არა, არ უნდა წამომცდეს, არა! რაც უნდა მოუვიდეს მზეს! ნახევარი ხომ ამოვიყვანეთ, მეტი რალა უნდა! — და ბრაზით ახედა მნათობს.

შიშისაგან ახლა უკვე მთლად ცახცახებდა ბატარა, მზად იყო, არც ერთი არ მიეშვა ქასთან.

მაგრამ მაღე ბაჭიებსაც მოუწდათ ხელმეორედ ეხილათ მზის კატასტროფის ადგილ და გამომეშართნენ ქოსკენ. ცქნაფურას ვინ უგებდა ყურს, და ელამი თვალებით კიდევ ერთხელ ჩახედეს მობრტყვივად წყალს.

— ეფეე... — აღმოხდა სუყვედას, — ისევე აქა ყოფილა! მაშ ეს რალაა?! — ახლა ცას ახედეს გაკვირვებულებმა.

— არა... არა... — აკივდა უცებ ცქნაფო —

ცოცხალი თავით არა... — ორივე თათი კუთხეში მიიფარა. მეგრ ტყისკენ გაიქცა — არა... — კარგა ხანს ისმოდა მისი ხმა.

დაეღვენენ, მაგრამ რალას დაიქურდნენ. გაიქცა. ბაჭიებმა გადაწყვიტეს, კიდევ ერთხელ ეცადათ ბედი. ამჯერადაც იგივე გამოუვიდათ.

ისევე გამოანათა ბრწყინვალე აზრმა:

— ეგ მზის ტყუბისცალი იქნება. ის ცაშია, ეს კი მოწაზე. რა არის აქ საკვირველი? პირიქით, კარგიც კია, ჩვენ რომ საკუთარი მზე გვეყოლება!


ამ აღმოჩენით გახარებულებმა დიდხანს იხტუნავეს ქის გარშემო. მევე სახლებში გაიკრიფნენ. კარგად რომ შელამდა, ქასთან ცქნაფურა გამოცხადდა. სიძულვილით ჩახედა წყალს. იქ კვლავ დიანახა... მაგრამ ამჯერად... მთვარე.

გაგოყდა კინალამ.  
— ესეც რომ მე დამცინისო... — იბღვნიდა ბეწვებს.

მეგრ წავიდა და მოიტანა ფიცრები, საშიფრე ღურსმინები, იმხელა ურო, რომ ძლივს მოათრევდა, და საბოლოოდ და სამუდამოდ დააქედა საზიზლარი და ბორბოტი ქა.

რატომ?

იმიტომ, რომ ბაჭიებისას ვინ რას ჭაიგებს. იქნებ ახლა მთვარის გადარჩენა მოეწადინებინათ მეტიჩრებს. მაშინ ხომ საბოლოოდ მოსწყებოდა ისევე კინკილაზე დაკიდებული კული ცქნაფოს.



მხატვარი მალხაზ თაბაძე

# „დიღის“ საგამოფენო დაკბაზი



„დიღის“ — ნახატი მარინა კალანდიასი.




„გოგონა“ — ნახატი ევა ხომერციხა.




„სამთრის სუკატი“ — ნახატი ლილია კალატოზიშვილისა.





“წითელ მარცხივედ” — ნახტი შივა მუცხიაშვილისა.



თხა — ნახტი ნინო შუმანიასი. 4 წლის.

ს. მარტოვი სან ნ. სსრ  
საბჭოთა კავშირის  
გ. ი. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.




“ნატურალისტები” — ნახტი მარინე აფციაურისა.

# ქეჩუ

## მზარ კვიტიანი

იმედი დედის, მამის —  
ოქრო ბიჭია გიგა,  
არ ავიწყდება, ვინ რა  
უთხრა და დაარიგა.  
გაკვეთილს როცა სწავლობს,  
არ იცის, რაა დაღლა,  
დამრიგებელის აზრით  
წარჩინებული გახლავთ.  
გეტყვის აკაკის ლექსებს  
და სულხან-საბას ივავს,  
დასაკარგავი ქუთის  
მახსოვრობა აქვს გიგას.  
ყოველდღე როდი ეძებს  
გართობასა და კინოს,  
ჯერ უმიზეზოდ სკოლა  
არ გეხსოვს, გავცდინოს.

სამაგიეროდ, კვირას  
გიგა გადადის ყირას.  
შემომტერევა ზევრი  
სალამური და ციგა,  
ველოსიპედით დაქრის.  
ავტოშიც ჯდება გიგა,  
უყიდვს ტყავის ბურთი.  
ლამის გააძროს სიქა...  
არასდროს  
არავისთან  
შეუტრცხვენია პირი,  
თავისად ძიანია  
მეგობრის გასაჭირი.  
მისთვის აწოვეს ძუძუ,  
მისთვის უმღერეს ნანა...  
ღმერთო, უმრავლდო მამულს  
ბიჭები გიგასთანა.



## მზია ჩხეტიანი

### ჯადოქარი

რა არ თქვა წიგნმა ხატულამ-  
ლექი,  
მოთხრობა,  
ზღაპარი,  
რა გზა არ შემომატარა.  
რა ქვეყნები და მთა-ბარი!  
რა მეგობრები შემძინა,  
რა გმირებს დამაძობილა,  
მთელი ქვეყანა გამაძნო.  
რა ჯადოქარი ყოფილა!


### გამთრისპირული

ცეცხლი ღულღუნებს კერაზე,  
იქვე პაპა ზის ენამზე,  
ზღაპარს მიაშობს,  
რა ზღაპარს,  
სიკეთის გადარჩენაზე.  
აფორინდა რაში ჭიხვინა,  
ცხრა ზეცა გადაიფრინა.  
ოკინის ტორებით ჩაღვწა  
დევის სასახლის ცხრა კარი,  
გმირმა რომ ხმალი აღვსა,  
ღევმა დაიწყო კანკალი...  
ცეცხლი ღულღუნებს კერაზე.  
იქვე პაპა ზის ენამზე.

# შერევის საკლავი

## თავსატყვისი

შენს წინაშეა საანგარიშო წყირებისაგან შედგენილი ხუთი ტოლი კვადრატი. საჭიროა მოაკლო სამი წყირი ისე, რომ დარჩეს სამი ტოლი კვადრატი.



№ 1-ში დაბეჭდილი შარადის პასუხი:

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

კარსვორდის პასუხი

თბარაზულად: 1. მარადონა; 4. რუმენივე; 6. ზიკო; 8. როსი; 9. პლატინი. ვეშელად: 2. ბრაიტენრი; 3. თუნოზი; 5. ტენდლილი; 7. ჩივამე.

## ბეზუსი

3) 1, 8

8

3

6

6

3) 3

6

3

3

6

### ყრახე ნახატი ირაკლი ფარქიანიისა

საბავთველოს  
ულკა ცეკ-ისა  
ზა შ. ი. ლენინის  
ბიბლიოტეკის  
პირინატი  
ოკბანერჯატინი  
კიშხუბლაქსური  
საბავთვე  
შუკნალი  
შხტკოსკლა-  
სმლთათვის

### მთავარი რედაქტორი მენვირ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეჯია: მურარე აფთხაძე, ილია ანთილაძე, კუპური გოგიანიშვილი, სოლომონ და მურხანაშვილი, ლეილა ბრადე, მანანა კობახიძე, ჯურჯა ლუგაშვილი (პრ. მდიანი), გელა ლოსა-ბერიძე, მავალა შივლიშვილი, ჯურჯა ნაღრიძე, გიორგი კონიანიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი მხელაძე, მანანა ხაჩიძე, გივი პიპინაძე.

### ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქცია, გამომცემლობა, საბავთვე — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქციის — 93-41-30, 93-98-15; კარ. მთავრის — 93-10-32, 93-98-15; სახ. რედაქციის — 93-98-18; კარგულ — 93-98-19.

გადიცვა სასკოლად 17, XII-82 წ. ტელმოწერილობა დასაქმებულ 24, I-83 წ. საბავთვე ღირს 6 ჟანრის ფილ. ნახ. ფილმ. 25, ტირაჟი 165,400. შეფ. № 3001. „დილა“ № 2, ჟურნალი ში. აკადემიკოსის ნა. გრუნიშვილის ენაზე. „საბავთვე“ № 2, ჟურნალი ში. აკადემიკოსის ნა. გრუნიშვილის ენაზე. „საბავთვე“ № 2, ჟურნალი ში. აკადემიკოსის ნა. გრუნიშვილის ენაზე. „საბავთვე“ № 2, ჟურნალი ში. აკადემიკოსის ნა. გრუნიშვილის ენაზე. „საბავთვე“ № 2, ჟურნალი ში. აკადემიკოსის ნა. გრუნიშვილის ენაზე.

გამოცემის  
სა. ე. წელი  
საქ. კა. ცე-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქციის — 93-41-30, 93-98-15; კარ. მთავრის — 93-10-32, 93-98-15; სახ. რედაქციის — 93-98-18; კარგულ — 93-98-19.

სიმბოლოების სიმბოლოები

სიმბოლოების სიმბოლოები

